<u>გამარტივებული შესყიდვის შესახებ</u>
ხელშეკრულება # 94

ქ. ახალქალაქი 04 ივნისი 2019 წელი

ერთი მხრივ, **ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია,** წარმოდგენილი **ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის, იურიკ უნანიანის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: **ქ. ახალქალაქი, ჩარენის ქ.11**
საიდენტიფიკაციო კოდი: **№223366122**
ტელეფონის ნომერი: **+995(362)223292**
ელ.ფოსტა: varchutyun@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები: **ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,**
ბანკის კოდი: **TRESGE22**
ანგარიშის ნომერი: **GE24NB0330100200165022**

და მეორე მხრივ, **ი/მ „არშაკ აპოიან“,**, წარმოდგენილი დირექტორის **არშაკ აპოიანის -ის,** სახით (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: **ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. სულდა მე-12, 2 ჩიხი № 1**
საიდენტიფიკაციო კოდი: № **07001034298**
ტელეფონის ნომერი: **579070171**
ელ.ფოსტა: grigorisulda@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები:
ანგარიშის ნომერი: **GE47TB7961036010100032**
ბანკის კოდი: **TBCBGE22**

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, **საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების, 2019 წლის 27 თებერვლის №441 განკარგულებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მესამე „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,** ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში **სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გარე განათების მონტაჟი (სოფ. ოლავერდი)-2557,27 ლარი , სასაფლაო შემოღობვა (სოფ. ოლავერდი)- 13442,73 ლარი (თან ერთვის)** (შემდგომში - სამუშაო).

- 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტების CPV კოდია: 45200000, - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები. 45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

2. სამუშაოების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **16000 (თექვსმეტი ათასი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3. სტანდარტები

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს (შემსყიდველის მიერ შექმნილი კომისია) უფლება აქვს ნებისმიერ ეტაპზე გააკონტროლოს მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება, ასევე გაატაროს პერიოდული ინსპექტირება სამუშაოს სახით.

4.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

4.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. სამუშაოების შესრულების პირობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **40 (ორმოცი)** კალენდარული დღის ვადაში.
5.2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.

6. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა

1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2(ორი) წელს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში , მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოების წარდგენა განახორციელოს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფრორმებიდან ყოველ **30 კალენდარულ** დღეში არაუმეტეს **ორჯერ**.
7.2. მიმწოდებლის მიერ წარდგენილი შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
7.3. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი, მიმდინარე და შესრულებული სამუშაოების შემოწმებას ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სამსახური და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაოების მიმღები კომისია, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობასა და ხარისხს.
7.2 შესყიდვის ობიექტის მიღების საბოლოო შემოწმებისას გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

8. ანგარიშსწორება

8.1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.
8.2. მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველ 30 კალენდარულ **დღეში არაუმეტეს ორჯერ,** შუალედურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8.3. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობაზე ახალქალაქის მუნიციპალიტეტი მერის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისიის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ(რაც დადასტურებული უნდა იყოს სპეციალური კომისიის წევრების მიერ ფორმა N2-ზე ხელმოწერით) .

9. ფასები

9.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დაუშვებელია.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ასევე შემსყიდველი არ არის ვალდებული წარადგინოს მტკიცებულება იმ გარემოებაზე, რასთან დაკავშირებითაც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1 ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 5% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება.
13.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. გამოყენებული სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **2019 წლის 14 ავგისტოს ჩათვლით**, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია	**ი/მ ,,არშაკ აპოიან"**
მუნიციპალიტეტის მერი	
akhalkalaki municipality Digitally signed by akhalkalaki municipality Date: 2019.06.04 15:46:48 +04'00'	
_____ი.უნანიან	**_____ა.აპოიან**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ოლავერდის სასაფლაოს ტერიტორიის შენეღობვა

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		თანხა ლარში
				ერთ ფასი	ჯამი	ერთ ფასი	ჯამი	ერთ ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	არსებულის შენოღობის დემონტაჟი Разборка существующего ограждение	გრძ.მ	125,0			0,7	81,25			81,25
2	შემოსაღობად მოედნის დაგეგმვა Планировка площадки для ограждения	კვ.მ	354,9			0,7	248,43			248,43
3	30x30x50სმ ზომის თხრილშიგრუნტის დამუშავება Разработка грунта в яме размером 30x30x50см вручную	კუბ. მ	8,2			35,0	287,91			287,91
4	2,0მ სიგრძის 25მმ დიამეტრის არსებული არმატურის დაყენება დაბეტონებით Установка существуюшего арматури диаметром 25мм, длиной 2,0 м с бетонированием	ცალი	20,0	3,60	72,00	2,5	50,00	0,20	4,00	126,00
5	დაყენება არცებული ბადეები "ღაბიცა" და ჩაწყობის მავთულები d = 4 მმ Установка ограждения из существующего сетки "Рабица" с натягиванием проволоки д=4мм	გრძ.მ	100,0	0,3	30,00	3,0	300,00			330,00
6	2,0მ სიგრძის 30x30x2მმ ფოლადის კვადრატული მილებით დაყენება დაბეტონებით Установка стальных квадратных труб 30x30x2мм, длиной 2,0 м с бетонированием	ცალი	162,8	10,53	1714,28	2,5	407,00	0,60	97,68	2218,96
7	დაყენება ბადეები "ღაბიცა" გალავნის 6x6სმ (d = 2.5 მმ თუთია, მოოქროვილი) და ჩაწყობის მავთულები d = 4 მმ Установка ограждения из сетки "Рабица" ячейками 6x6см (д=2,5мм, оцинкованная) с натягиванием проволоки д=4мм	გრძ.მ	407,0	13,3	5413,10	3,0	1221,00	0,70	284,90	6919,00
8	40x40x50სმ ზომის თხრილშიგრუნტის დამუშავება	ცალი	7,0			2,0	14,00			14,00

	Разработка грунта в яме размером 40x40x50см вручную									
9	2,2მ სიგრძის 80x80x3მმ ფოლადის კვადრატული მილებით დაყენება დაბეტონებით Установка стальных квадратных труб 80x80x3мм, длиной 2,2 м с бетонированием	ცალი	7,0	55,0	385,00	3,0	21,00	1,0	7,00	413,00
10	1.62x1.5მ ზომის ლითომის ალაყაფის კარის დამზადება და მოწყობა 40x20x2მმ კვადრატული მილით (იხ. ნახაზი) Изготовление и установка металлических ворот размером 1.62x1.5м из квадратных труб 40x20x2мм (см. чертёж)	ცალი	2,0	154,9	309,80	24,0	48,00	2,50	5,00	362,80
11	1,0x1.5მ ზომის კუტიკარის დამზადება და მოწყობა 40x20x2მმ კვადრატული მილით (იხ. ნახაზი) Изготовление и установка металлических калитки размером 1,0x1.5м из квадратных труб 40x20x2мм (см. чертёж)	ცალი	1,0	93,14	93,14	17,0	17,00	2,0	2,00	112,14
12	1.5x1.5მ ზომის ბადისებული ლითომის ალაყაფის კარის დამზადება და მოწყობა 45მმ რკინის კუთხედებით (იხ. ნახაზი) Изготовление и установка сетчатых металлических ворот размером 1.5x1.5м из железных уголков 45мм (см. чертёж)	ცალი	4	105,00	420,00	25,00	100,00	3,00	12,00	532,00
13	ლითონის ზედაპირების ზეთოვანი შეღებვა Масляная окраска металлических поверхностей	კვ.მ	31,268	1,50	46,90	1,60	50,03			96,93
	ჯამი									11742,42
	ზედნადები ხარჯები	8%								939,39
	ჯამი									12681,82
	გეგმიური დაგროვება	6%								760,91
	ჯამი									13442,73

ი. მ. «გევორგ ღალივონჯიან» გ. ღალივონჯიან

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ოლავერდის გარე განათების მონტაჟი

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		თანხა ლარში
				ერთ ფასი	ჯამი	ერთ ფასი	ჯამი	ერთ ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	I. სამშენებლო სამუშაოები									
1	1.0მ. სიღრმის ორმოების ამოღება გრუნტის (IV კატეგორი) ადგილზე გაშლით ხელით (0,4x0,4x1,2=0,19კუბ.მ) Рытье ям вручную в грунте IVгр. глубиной 1.0м (0,4x0,4x1,2= 0,19 м³)	კუბ. მ	1,14			30,00	34,20			34,20
2	102მმ (B= 3მმ) დიამეტრის ფოლადის მილებით საყრდენის დამზადება (L=8მ) Изготовление опор из стальных труб Д=102мм (B= 3мм) (L=8м)	ცალი	6,00	155,00	930,00	13,00	78,00	7,26	43,58	1051,58
3	საყრდენების ზეთოვანი გაუმჯობესებული შეღებვა Улучшенная масляная окраска опор	კვ. მ	16,80	1,80	30,24	1,50	25,20			55,44
4	მეტალის განათების საყრდენების დაღენება და ბეტონირება Установка и бетонирование металлической осветительной опоры	კუბ. მ	1,1372	120,00	136,46	30,00	34,11	15,00	17,06	187,63
	ჯამი				1096,70		171,51		60,64	1328,85
	ზედნადები ხარჯები	8%								106,31
	ჯამი									1435,16
	II. ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები									
5	იზოლატორების მონტაჟი Монтаж изоляторов	ცალი	6,00	2,50	15,00	0,40	2,40			17,40
6	ქუჩის ლამპიონი LED 50ვტ მონტაჟი Монтаж уличных светильников LED 50вт	კომპლ.	6,00	70,00	420,00	5,00	30,00	1,90	11,40	461,40
7	ალუმინის კაბელის АВВГ-Р 2x10მმ² მონტაჟი Монтаж алюминиевых кабеля АВВГ 2x10мм²	გრძ.მ	213,00	1,20	255,60	0,30	63,90	0,41	87,33	406,83
8	ალუმინის გამტარის АВВГ 2x2,5მმ² მონტაჟი Монтаж алюминиевых проводов АВВГ 2x2,5мм²	გრძ.მ	15,00	0,60	9,00	0,40	6,00			15,00

	ჯამი				699,60		102,30		98,73	900,63
	ზედნადები ხარჯები ხელფასიანი	75%								76,73
	ჯამი									977,36
	ჯამი I + II									2412,52
	გეგმიური დაგროვება	6%								144,75
	ჯამი									2557,27

ი. მ. «გევორგ ღალივონჯიან» ბ. ღალივონჯიან

შემოსავლების სამსახური

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
07001034298

გადამხდელის დასახელება
არშაკ აპოიან

ხელმძღვანელი

გადამხდელის მისამართი

ელ-ფოსტა

ტელეფონი

ცნობა

ეძლევა, "არშაკ აპოიან"-ს (ს/კ 07001034298) მასზედ, რომ ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით 17/05/2019-ის მდგომარეობით არ არის რეგისტრირებული დღგ–ს გადამხდელად.

თარიღი: 17/05/2019 11:43:37

ID: 6673368, **შტრიხკოდი**: 3249349

განცხადების ძებნა: www.rs.ge/searchapp